


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ახალგაზრდა სტალინელი**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 27 (268)
პარასკევი,
6
ნოემბერი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

# დიადი დღესასწაული

უდიდესი შემოქმედებითი ძალებითა და აღფრთოვანებით ეგებება საბჭოთა ხალხი დიად დღესასწაულს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავს.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს მსოფლიო-ისტორიულ შემობრუნების პუნქტს, ახალი ერის დასაწყისს კაცობრიობის ისტორიაში. ფ. ენგელსი სოციალიზმამდე არსებულ ისტორიას კაცობრიობის წინა ისტორიას უწოდებდა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია სწორედ ის დიდებული ნიშანსვეტია, რომელიც აღმართულია კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის, სოციალიზმის ეპოქის სათავესთან. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია უზრუნველყოს მშრომელი ხალხის თავისუფალი შრომა, თანასწორუფლებიანობა, ბედნიერი ცხოვრება, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გაფურჩქვნა.

კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებს საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომის შედეგებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავზე. ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ. ისტორიაში აქამდე უცნობი ტემპებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, ჩვენი სოფლის მეურნეობა; შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაეწევა და გაუსწრებს ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დასაბამი მიეცა არა მარტო სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღმავალ განვითარებას, არამედ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის სისტემატურ ზრდას.

საყოველთაო აღტაცებას იწვევს საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებანი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 1959 წლის განმავლობაში, წარმატებით იქნა გაშვებული სამი კოსმოსური რაკეტა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს ჩვენი ქვეყნის არა მარტო მტკიცე საშინაო პირობების, არამედ ურყევი, საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის გატარების ვითარებაში. საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სოციალიზმის სხვა ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი ძალების მეცადინეობით რამდენადმე გაუმჯობესდა მდგომარეობა. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისმა შეხვედრებმა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან.

ამ რამდენიმე დღის წინ შეიკრიბა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომელმაც სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ამ მოხსენებაში გადმოცემულია საბჭოთა მთავრობის გეგმები საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა გეგმა, რომელიც სესიამ მიიღო და რომელიც იმედით ავსებს მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას.

ოქტომბრის რევოლუციის დიდი დღესასწაული თვითეულ საბჭოთა ადამიანში წარმოშობს ღრმა კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობებს ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული წარმატებებით. მაგრამ იგი ამავე დროს აღგვაგზნებს ახალი გამარჯვებებისაკენ სწრაფვის სულისკვეთებით, აძლიერებს ხალხის უშრეტ ენთუზიაზმს შემდგომი პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

**გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!**

**გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!**

გალაკტიონი

## ხალხი და ოქტომბერი

წინ, წინ, სამშობლო მხარევ! ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც შესძრა მსოფლიო მთელი!
გამოქანება მძლავრი ცხრაასჩვიდმეტის ტალღის —
ეს არის ძალა, ნება და მისწრაფება ხალხის!
ეს არის სული ხალხის, ეს არის გული ხალხის,
ეს არის ნება ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

მიმოიხედავ ირგვლივ, არის განძების თოვა:
ვინ მოამზადა ამდენ ღირებულებათ გროვა?!
განძის, რომელსაც ხედავს მოხუცი, გინდა ბალღი,
ღირებულების ყოვლის შემქმნელი არის ხალხი —
მარად მოქმედი ხალხი, მარად მოძრავი ხალხი,
შეუცდომელი ხალხი, ხალხი და მხოლოდ ხალხი!

ღირებულებათ გროვა დიდებულია, სრული,
მას დასტრიალებს ხალხის განათებული სული!
ხალხი მქმნელია მარად—ასე მძლავრი და ლაღი,
ყოველ სულიერ წყაროს სათავე არის ხალხი —
მარად მგრძნობელი ხალხი, მარად მცნობელი ხალხი,
შეუცდომელი ხალხი ხალხი და მხოლოდ ხალხი!

ვერ წაიშალა, თუმცა შალა, შალა და შალა
ბნელმა, უკვდავი მარად ხალხთან კავშირის ძალა.
პიროვნებისთვის მზეა ხალხთან კავშირი სადი —
მხოლოდ კავშირი ხალხთან, რომ გვდარაჯობდეს ხალხი,
ბევრის მნახველი ხალხი, ხალხი და მხოლოდ ხალხი!

წიგნში ძალაა ხალხის, მხოლოდ იმიტომ, იქნებ,
ხალხი მფარველობს წიგნებს, თავის საყვარელ წიგნებს.
გამნათებელი მარად, არა მომხვევი თალხის,
მშვიდობის დიდი წიგნი ხმაა გმირული ხალხის,
ნათლისმფენელი ხალხის, მარად ნათელი ხალხის,
წიგნთა მფარველი ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

მარად ბრწყინვალეს, დიადს, მარად სპეტაკს და ხალასს,
ვუძღვნით ქებათა-ქება ხალხის სულიერ ძალას!
ხალხთან მარადის კავშირს რომ არ მოედოს ჟანგი,
ხალხის სულიერ ძალად უნდა აჟღერდეს ჩანგი.
ჩანგიც სულია ხალხის, მარად ცოცხალი ხალხის,
გულით მომღერალ ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

წინ, წინ, სამშობლო მხარევ! ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც შესძრა მსოფლიო მთელი.
დროშაა დიდებული — გაბრწყინებული, სრული,
ავწიოთ უფრო მაღლა ხალხის სული და გული.
მაღლა ავწიოთ ხალხი, უნდა გამოგვყვეს ხალხი!

შვენის მებრძოლის სული და ჩაფიქრებაც შვენის...
ჩაფიქრებული ხალხი როცა იგონებს ლენინს.
ზევით ლაჟვარდი ცაა, ქვევით — მსოფლიო ბაღი,
თვითონ ლენინიც ხმაა, — ხმაა მებრძოლი ხალხის,
მარად მქუხარე ხალხის, მარად მჩქეფარე ხალხის,
მშვიდობისაკენ მძლავრად მიზლვავებული ხალხის.

ყველაფერს ქვეყანაზე მით მიეცემა ფასი,
რამდენად მასში სავსე მიზნობს დიდების თასი;
რამდენად სახავს იგი ხალხის სწრაფვას და მიზანს —
შრომას ტკივილებს, შვებას აღფრთოვანებას მისას, —
რომ გვდარაჯობდეს ხალხი, დამფასებელი ხალხი,
შეუცდომელი ხალხი, ხალხი და მხოლოდ ხალხი!

დიდი მშვიდობის გრძნობის მედგრად ტრიალებს ჩარხი,
მშვიდობისათვის მარად აღგზნებულია ხალხი.
მშვიდობას ითხოვს ხალხი, მშვიდობას ჰპოვებს ხალხი!
ეს არის სული ხალხის, ეს არის გული ხალხის,
ეს არის ნება ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

## სამგორისაკენ

1 ნოემბერს, კვირა დილით, უნივერსიტეტის ეზოდან ვარაზის ხევის ქუჩაზე ჩამწკრივდნენ ფილოლოგიის, ისტორიის, იურიდიული და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებით სავსე ავტომანქანები.

მათ გეზი სამგორისაკენ, თბილისის ზღვის მიმართულებით აიღეს. ისმის ზღვის მიმართულებით აიღეს. ისმის სტუდენტთა ხმამაღალი სიმღერა, მხიარული შეძახილები, ოხუნჯობა, სიცილ-ხარხარი. ყველგან სიმხნევე სუფევს.

ერთ საათზე მეტი გავიდა მანქანით მგზავრობის შემდეგ და კიდეც მივედით ჩვენთვის გამოყოფილ სამუშაო ტერიტორიაზე, თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იქ, სადაც იორი ზღვას ერთვის. დავიწყეთ ჯგუფებად ფაკულტეტების მიხედვით და შევუდექით ცინწეული სამუშაოების შესრულებას.

ამ დღეს, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ჩვენი უნივერსიტეტის ასობით სტუდენტმა კიდევ ერთი ღირსეული წვლილი შეიტანა თბილისის ზღვის მიდამოების გამწვანების საშვილიშვილო საქმეში. დავრგეთ ათასზე მეტი ძირი აკაციის, ჰერმის, იფნისა და ბევრი სხვა ჯიშის ნერგი.

აქ მუყაითი შრომით თავი ისახელეს: ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა — რეზო მოდებაძემ, ანზორ ბარამიამ, ჯუმბერ ტიკარაძემ, შოლვა გულუამ, კონსტანტინე ცხოველიძემ, დიმიტრი ხაჩხარჯიმ, შამილ ჯანდოევმა, თემურ ფუთურიძემ, ჯემალ აფციაურმა, ინგიშტერ ცქიტიშვილმა, ვლადიმერ მინაშვილმა, ედუარდ გოგოსაშვილმა, გიორგი ჩიკვილაძემ, გივი კიკილაშვილმა; ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა — ჯემალ გორდეზიანმა, ნოდარ ნონიკაშვილმა, ლოვარტი ტუხაშვილმა, აკაკი ცუშკუდიანმა, ნოდარ ხაზარაძემ, როინ მეტრეველმა, იროდი გუგესაშვილმა და სხვ. კარგად იმუშავეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა: კარლო გოგოტიშვილმა, ფრიდონ ურუშაძემ, ვაჟა არუდაშვილმა, ჯემალ ძლიერიშვილმა, გურგენ მიქელიანცმა, რუბენ ფირცხალავამ, გენადი კურტანიძემ, მიხეილ ქურდაძემ, რამაზ ხუნწარიამ და სხვ. ასევე კარგად იმუშავეს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმაც.

**გ. ორჯონიკიძე,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის ალკკ ბიუროს მდივანი.





**სურათებზე:** ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული შრომის ბრიგადის წევრები სამგორის ზღვის მიდამოების გამწვანებაზე მუშაობის დროს.

ფოტოები **შ. ჯანდოევისა.**

პარასკევს 13 ნოემბერს, დღის 12 საათზე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნება ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის XIII კონფერენცია.

**დღის წესრიგი:**

1. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. გ. ჟ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე).
2. არჩევნები:
   ა) პარტიული კომიტეტისა;
   ბ) საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის XXXV პარტიული კონფერენციის დელეგატებისა.

**უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი.**

## შეხვედრები პირველკურსელებთან

ახალი, 1959-60 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექციამ თავის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინა მოეწყო შეხვედრები უნივერსიტეტის პირველკურსელებთან იმ მიზნით, რომ გააცნოს მათ ჩვენი ბიბლიოთეკის სტრუქტურა, მისი შესაძლებლობანი (წიგნადი და ჟურნალ-გაზეთების ფონდი), ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.

ასეთი შეხვედრები და საუბრები ჩატარდა ეკონომიური, იურიდიული და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების პირველკურსელებთან, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე უახლოეს დღეებში ჩატარდება. პირველკურსელებთან შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი თანამშრომლები, ფაკულტეტების ხელმძღვანელი ამხანაგები.

ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და სასურველია, უფრო ხშირად ეწყობოდეს იგი. ამასთან, გარდა შეხვედრებისა, დიდ სარგებლობას მოგვიტანს უთუოდ მკითხველთა კონფერენციები, რომელთა ჩატარებაზეც სათანადოდ იზრუნებს ჩვენი ბიბლიოთეკა.

**მ. ოქიტაშვილი,**
სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძირითადი აბონემენტის განყ. გამგე.

## გეგმიანი, ხალისიანი, შედეგიანი...

### სტუდენტური საწარმოო პრაქტიკა

წელს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის III კურსის სტუდენტებს საველე-საწარმოო პრაქტიკა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში ჩაგვიტარდა.

პრაქტიკას ხელმძღვანელობდნენ დოც. გ. ზარდალიშვილი და ასისტ. ა. ტერელაძე. მათ ჰყავდათ თანაშემწეები ი. მამაიაშვილი და ო. პეტრიაშვილი.

ივნისის პირველი დღეებია. თბილისში ჩვეულებრივი სიცხეებია. ჩვენ კი პრაქტიკაზე დასავლეთ საქართველოში მივემგზავრებით, გული იმედიანად გვეუბნებოდა ბევრ საინტერესოს ვნახავთო. მართლაც, ბევრი კარგი ვნახეთ, ბევრი კუთხე მოვიარეთ.

თბილისიდან ქუთაისში ჩავედით. დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ქუთაისიდან საირმეს ვესტუმრეთ. მართალია, კურორტი არ დაგვიხვდა ხალხმრავალი, მაგრამ მისი ბუნებითა და სილამაზით მოხიბლულნი დავრჩით. შემდეგ წყალტუბოს, სათაფლიას გამოქვაბულის, გელათის მონასტრის, ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება და კიდევ მრავალი.

12 ივნისს ქუთაისიდან მესტიაში თვითმფრინავით გავფრინდით. უმრავლესობას, თვითმფრინავი მხოლოდ გარედან გვენახა, შიგ ჯდომა კი, ცოტა არ იყოს, გვეუცხოვა კიდეც. ორმა თვითმფრინავმა ერთად კურსი მესტიისაკენ აიღეს. ჩვენს თვალწინ გადაიშალა ბუნების იდეალური სურათები: მშვენიერი რაჭა-ლეჩხუმის წარმტაცი ბუნება, მწვანეში ჩაფლული სოფლები. ბოლოს მესტიის დიდებული კოშკებიც გამოჩნდა. მშვენიერი ამინდია. ამხანაგები კარგ გუნებაზე არიან, მგზავრობა სასიამოვნო იყო.

კარგად მოჩანს პირქუში თეთნულდი, თოვლის საბურველში რომ გახვეულა. მესტიაში შევხვდით კინორეჟისორ ირ. კანდელაკს, რომელიც იღებდა დოკუმენტალურ ფილმს — „წელიწადის ოთხი დრო საქართველოში". მესტიაში სამ დღეს დავრჩით, შემდეგ კი მანქანებით გეზი სოხუმისაკენ ავიღეთ. შევისვენეთ ზუგდიდში და შესაძლებლობის ფარგლებში გავეცანით რაიონს. კვლავ ავტობუსით მგზავრობა და საბოლოოდ სოხუმში დავბანაკდით. კარგი მასპინძლობა გაგვიწია სოხუმმა. დავბინავდით ინსტიტუტის შენობაში.

დაიწყო მარშრუტები აფხაზეთში.

ვიყავით ქვანახშირის სამრეწველო ქალაქ ტყვარჩელში; ვნახეთ ოტაპის (აბრსკილას) გამოქვაბული, ამტელის ტბა სოფ. გენწვიში; ვიყავით მწვერვალ ხუტიზე (3444 მ ზღვის დონიდან); სიცხე იყო, მაგრამ ამხანაგები თოვლით გრილდებოდნენ. ადამიანს რა მოაწყენს ამ მშვენიერი ბუნების წიაღში! ბევრმა სიმღერა არ ვიცოდით, მაგრამ გული მაინც მღეროდა და უნებურად გვახსენდებოდა ქუჩიშვილის სიტყვები „სიმღერაც რომ არ იცოდეს, — მაინც დაიმღერებსო".

შემდეგ რიცა და ავადხარა, გაგრა და ახალი ათონი, ოჩამჩირე და გულრიფში და, ვინ მოთვლის, კიდევ სად არ ვიყავით.

დამთავრდა ჩვენი პრაქტიკა აფხაზეთში.

შემდეგ აჭარის ასსრ-ში გადმოვინაცვლეთ.

დიდებული იყო მგზავრობა გემ „როსიათი".

საბჭოთა აჭარის დედაქალაქი ბათუმი პირმცინარად შეგვხვდა. აქაც კარგი ამინდები იყო.

კვლავ მარშრუტები, კვლავ სიხალისე და მხიარულება.

ბოლო მარშრუტი ბახმაროზეა. ამხანაგებს გული გვწყდება, რომ პრაქტიკის დრო იწურება. გული გვწყდება, რომ ვშორდებით კეკლუც ბუნებას; ბუნებას და ხალხს, რომელმაც ასე თბილად მიგვიღო და გადაგვიშალა თავისი გული.

კარგი იყო საწრმოო პრაქტიკა მშობლიურ მხარეში. რამდენი რამ ვნახეთ ჩვენთვის უცნობი, რამდენი რამ განვიცადეთ, თითქოს ბუნებაც გვეუბნებოდა—გაიხსენეთ საქართველოს წარსული, როგორ სპობდნენ და აჩანაგებდნენ ხალხს, ბუნების სილამაზეს და როგორ ვართ ახლა საბჭოეთის მზით გამთბარიო.

ამოიწურა პრაქტიკის დრო და ბათუმიდან თბილისს გამოვემგზავრეთ, გამოვემგზავრეთ და გული ვერ იტევდა იმ განცდებს და სიხარულს, რაც ჩვენ პრაქტიკამ მოგვანიჭა.

• კარგი იყო ჩვენი პრაქტიკა. გეგმიანი, ხალისიანი და შედეგიანი.

**ს. ხარძეიშვილი,**
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

## ვეგებებით ახალი წარმატებებით

საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ისტორიის ისეთ მცირე მონაკვეთში, როგორიც 42 წელია, არნახული წარმატებები მოიპოვა მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის განვითარების თვალსაზრისით. ზედიზედ სამი კოსმოსური რაკეტის გაშვება და მთვარის უხილავი ნახევარსფეროს საიდუმლოებათა ამოხსნა ჩვენ ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივი განვითარების ნათელი ილუსტრაციაა.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბურჯის — საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები სამართლიანად აღვიძებს სიამაყის გრძნობას ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელის გულში, აღაფრთოვანებს მათ ახალი შრომითი აღმავლობისათვის. ჩვენი ქვეყნის კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივი, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი გამარჯვებით აღფრთოვანებული, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს.

გასული სასწავლო წელი ისტორიის ფაკულტეტმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა როგორც აკადემიური მოსწრების, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შესრულების თვალსაზრისით; ამაღლდა შეგნებული დისციპლინა ფაკულტეტზე, საგრძნობლად შემცირდა სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ამაღლდა სასწავლო პროცესის ორგანიზაცია.

ზაფხულის საგამოცდო სესიების შედეგების მიხედვით ფაკულტეტზე აკადემიური მოსწრების საერთო დონემ 94,1 პროცენტს მიაღწია. ნაყოფიერად ჩატარდა სტუდენტთა სამუზეუმო, საარქივო, პედაგოგიური და საველე პრაქტიკა. მეხუთე კურსის 55 სტუდენტმა, ყველამ წარმატებით დაიცვა სადიპლომო შრომა და ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა. თერთმეტმა კურსმოსმენილმა პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა. ფაკულტეტის დეკანატმა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, სერიოზული მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების გაცდენათა ლიკვიდაციისათვის, რასაც სათანადო დადებითი შედეგიც მოჰყვა.

სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის შესრულებისა და სტუდენტთა სამეცნიერო წრეების გაუმჯობესების ხაზით. პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გეგმით შესრულებული სამეცნიერო შრომების საზოგადოებისათვის ფართოდ გაცნობის მიზნით ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელზეც პროფესორ-მასწავლებლებმა წაიკითხეს მოხსენებები მათ მიერ დამუშავებულ თემებზე. დაბეჭდილი თეზისებისა და წაკითხული მოხსენებების ირგვლივ გამართულმა კამათმა არა ერთი ნაკლოვანება გამოავლინა, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი შემდეგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უფრო ორგანიზებულად წარმართვას.

ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, დეკანატისა და კათედრების ნაყოფიერმა ხელმძღვანელობამ დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო წრეებში გაერთიანებულ სტუდენტთა მუშაობის გაუმჯობესებას. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ღრმაშინაარსიანი სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხეს არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციებზე, არამედ კიევის, რიგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზეც. სტუდენტების—რ. მეტრეველის, გ. მამულიას, თ. გამსახურდიას, მ. ზამთარაძის და სხვათა მიერ კიევში, რიგასა და მოსკოვში წაკითხულმა მოხსენებებმა იქაურ გამოჩენილ მეცნიერთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს.

ნაყოფიერი მუშაობა იქნა ჩატარებული სტუდენტ-ახალგაზრდობის არა მარტო მეცნიერულ-პედაგოგიური აღზრდის თვალსაზრისით, არამედ მათში შრომითი ჩვევების გამტკიცების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნითაც. ფაკულტეტის 40-მდე სტუდენტმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მოსახლეობის საკავშირო აღწერის დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, ქალაქისა და მისი გარეუბნების გამწვანებასა და სხვა ღონისძიებებში.

ჩვენი სტუდენტების შრომითი საქმიანობიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის შრომითი მამაცობა, რომელიც 80-ზე მეტმა მომავალმა ისტორიკოსმა გამოიჩინა ზუგდიდის რაიონის ზედაეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მათ თავიანთი ნაყოფიერი შრომით ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მიერ ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში.

ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა წარმატებით ეგებებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს, არ კმაყოფილდებიან მოპოვებული მიღწევებით; ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა საყვარელ სამშობლოს მისცენ უფრო მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქცია, აღზარდონ კომუნიზმის დიადი იდეებისათვის თავდადებული მებრძოლები, მაღალკვალიფიციური ისტორიკოსები.

**დოც. ზაქარია შველიძე,**
ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.



**სურათზე:** უნივერსიტეტის II კორპუსის სამკითხველო დარბაზის ბიბლიოთეკარი ნელი დევიძე სახელმძღვანელოს აწვდის ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს მერაბ კლიმიაშვილს.

ფოტო ა. გეგეჯიანისა

# საზეიმო სხდომა

1959 წლის 4 ნოემბერს, სააქტო დარბაზში ჩატარდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისადმი.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. პროკლე კეკელიძემ.

მოხსენება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავი" წაიკითხა უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგემ დოც. სეით ლარცულიანმა.

დასასრულ, გაიმართა კონცერტი.

# გამოფენა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც მნახველებს უჩვენებს მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას ოქტომბრის რევოლუციის გატარებისა და, შემდგომ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში; საბჭოთა ხალხის გმირულ თავდადებას ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად დიდ სამამულო ომში; ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის არანახულ აღმავლობას.

პოლიტიკურ ლიტერატურასთან ერთად კარგადაა შერჩეული მხატვრული ნაწარმოებები, მიძღვნილი ამ თარიღისადმი. ისინი გვაცნობენ საბჭოთა ხალხის უდიდეს შრომით გამარჯვებებს, ისტორიაში უმაგალითო მეცნიერულ მიღწევებს, მის ურყევ საგარეო სამშვიდობო პოლიტიკას.

**თ. ფუთურიძე**

# უფლისციხეში



— უფლისციხე მდებარეობს ქ. გორთან 10 კმ. მანძილზე აღმოსავლეთით. ქართული ისტორიული წყაროები უფლისციხეს საქართველოს უძველეს ქალაქთა შორის ასახელებენ და ანტიკურ პერიოდში წარმოშობილად მიიჩნევენ. ეს უძველესი ქალაქი ისტორიაში ცნობილია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ერთხანს, თბილისში არაბების ბატონობის დროს, სამეფო რეზიდენციის როლსაც კი ასრულებდა. იგი „უფლის" (მეფის) ქალაქი იყო.

— უფლისციხე ქალაქი-გამოქვაბულია, რომელიც გამოკვეთილია კლდეში,—გვიყვებოდა დინჯად პროფ. შოთა მესხია, შაბათს, უკანასკნელ ლექციაზე კულტმასობრივი მუშაობის სექტორის ხელმძღვანელის ნუნუ კორძახიას თხოვნით.

შაბათი დღე იყო. სტიპენდიები ავიღეთ და საღამოს 7 საათზე უკვე ყველამ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა. ზოგი მაღაზიებში დარბოდა, ზოგიც სახლში ამზადებდა საგზალს მეორე დღისათვის.

გათენდა. მზე არ ჩანდა, იგი თვალებში გვენთო. ცა მოღრუბლულიყო, სამაგიეროდ ოცნება იყო ჩვენი ნათელი და წმინდა. გულით ზღვა სიხარული მოგვქონდა. ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები პირველ ექსკურსიას ვაწყობდით უფლისციხეში.

მატარებლის ფანჯარაში მეტეორივით მიქროდნენ ქართლის ველები, ყვითელი და ალაგ-ალაგ მწვანე ხეები, მთები, მთები... ჰირნახული მტკვარი კი მთელი გზა არ გვშორდებოდა. უფლისციხეში ისე ჩავედით, არც კი გაგვიგია.

ჩვენს წინ აღმართულიყო „...უფლისციხე, კვერნაქის გადმოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი" (ვახუშტი).

კინოს კადრებივით გაიელვა ჩვენს თვალწინ ჩვენი ქვეყნის წარსულმა. ძველ დროს, მართლაც წყეული არაბების დროს, როცა საქართველო არაბების ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული, და როცა თბილისს ამირები მართავდნენ, უფლისციხე წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს.

კონსტანტინე აფხაზთა მეფე და სუმბატ აღმსარებელი ეცილებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ უფლისციხის ხელში ჩაგდებას. მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ეცემა თბილისის განთავისუფლებისა და უფლისციხის მახლობლად ქ. გორის წარმოშობის შემდეგ, რადგან ამ დროიდან ეს ცენტრი სწორედ თბილისში გადადის.

რაც დრო გადის, მკვლევართა ინტერესი უფლისციხისადმი ცხოველდება. როგორც ცნობილია, უფლისციხის დაარსების შესახებ პირდაპირ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. საჭიროა მისი გულმოდგინედ შესწავლა და დათარიღება. ეს კი არქეოლოგებისა და ისტორიკოსების საქმეა.

**ანზორ სიხარულიძე**

# ორი კვირა პოლონეთში

„ქართველი ერი და პოლონეთი — ორი გვირგვინი და ორი კვნესა".

ასე წერდა 1919 წელს ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის ნახევარი საუკუნე და აი ახლა ისტორიულად ერთნაირი ბედის მქონე ეს ორი ხალხი ურთიერთშორის სიყვარულსა და მეგობრობას თესავს და ზრდის. ამ მეგობრობას თავისი ისტორიული ფესვები აქვს და დღეს, როცა სოციალიზმი ასეთ კარგ პირობებს ქმნის ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ქართველ-პოლონელთა მეგობრობაც ყოველნაირად მტკიცდება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ქართული კულტურის კვირეული პოლონეთში და პოლონურისა საქართველოში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარდა. შოპენისა და მიცკევიჩის ქვეყნის შვილები აღტაცებაში მოიყვანა საქართველომ, მისმა ადამიანებმა, მისმა ხელოვნებამ და სილამაზემ. ასეთივე შთაბეჭდილება დასტოვა პოლონური კულტურის დეკადამ რუსთაველისა და გურამიშვილის, ილიასა და აკაკის სამშობლოში.

წლეულს ზაფხულზე ტურისტული საგზურით პოლონეთში მრგვიხდა მოგზაურობა, სადაც უაღრესი სითბო ვიგრძენით მასპინძელთა მხრივ. ამიტომ გულწრფელი აღტაცებით ვიგონებ ახლა პოლონეთში გატარებულ თვითეულ დღეს, რომლებიც როგორც საინტერესო კინოკადრები, ისე ცვლიდნენ ერთმანეთს და ჩვენს მეხსიერებაში დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებდნენ.

* * *

ჩვენ პოლონეთის გულისაკენ — ვარშავისაკენ მიგვაქროლებს მატარებელი. პირველი, რაც გვაუწყებს ამ ქალაქთან მიახლოვებას, ეს არის კულტურისა და მეცნიერების სასახლე და მასზე აღმართული სვეტის გრანდიოზული სილუეტი.

შემდეგ გრანდიოზული სასახლის სილუეტი შეცვალა ბაქანზე გრანდიოზულმა შეხვედრამ, რომელიც სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწყო ქართველ ახალგაზრდობას.

სტუმართმოყვარე პოლონელმა მეგობრებმა დაგვაბინავეს ვარშავის ცენტრში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საყვარელ ოტელში, „დიკანკაზე". აქ მსოფლიოს ყველა კუთხის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შეეყარათ მაშინ თავი. გულწრფელი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სიტყვებზე — „საქართველოდან ვართ" — ყოველთვის პასუხის ნიშნად გვხვდებოდა მომღიმარი, კმაყოფილებით აღსავსე სახეები და, რა თქმა უნდა, უდიდესი სურვილი ჩვენი ქვეყნის ახლოს გაცნობისა.

ხოლო ჩვენც, ჩვენის მხრივ, აღარ ვაყოვნებთ და იმავე საღამოს ვიწყებთ ვარშავის გაცნობას.

ვარშავა ევროპული ქალაქია. იგი განსაკუთრებით დაზიანდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოსევის შედეგად (მაშინ მიყენებული, ენით აუწერელი ბოროტების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი), მაგრამ ომის შემდეგ სულ მალე აღდგა პოლონეთის ეს ულამაზესი დედაქალაქი. იგი გამოირჩევა გოთური სტილით ნაგები შენობებით, ეკლესიების (კასტიოლების, როგორც მათ პოლონეთში უწოდებენ) სიმრავლით. ახალი თანამედროვე სტილით, ნაგები სახლებით და ლაღი მომღიმარი ადამიანებით.

აღსანიშნავია, რომ პოლონელები დიდი მოკრძალებით ინახავენ ძველი ვარშავის ადგილებს, ეს ადგილები მთელი პატარა ულამაზესი ქალაქია თავისი ციხურებით, ვიწრო დამახასიათებელი ქუჩებით, დიდებული თაღებით, ღრმა სარდაფებით. დიდი ხნის წინ კი ქვით მოპირკეთებული მოედნებით, დღეისათვის იქ კიდევაა შემორჩენილი ეტლები. ტრანსპორტის ეს სახე ვისლის ნაპირებზე სეირნობის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს.



ვისლა ვეებერთელა მდინარეა, დაახლოვებით 5-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენი მტკვარი. ვისლაზე გაჭიმულია გრძელი ლამაზი ხიდები. ერთ-ერთ ხიდზე გადასვლისას გიდმა უბრალოდ და დიდი რწმენით მოგვმართა: ამ ხიდზე საბჭოთა ჯარისკაცების გადასვლამ იხსნა პოლონეთიო.

პოლონელებს უყვართ თავისი დიდი ადამიანები. ისინი განსაკუთრებით „აღმერთებენ" ხელოვნებს, — ყველას, ვინც კი პოლონეთი ასახელა, მაგრამ პოლონეთის სიყვარული შოპენისადმი სრულიად განსაკუთრებულია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩვენმა გიდმა უპირველეს ყოვლისა შოპენის მუზეუმში წაგვიყვანა, რომელიც რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ვარშავას. ეს სახლი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, გარშემო ვეებერთელა ბაღია. აქ ხარობს შოპენის დარგული ხეები, შოპენის ყვავილები. აქ იქმნებოდა მისი ეტიუდებისა და მაზურკების დაუვიწყარი მელოდიები. საინტერესოა, რომ ახლაც ტრადიციულად აქ იკრიბებიან მუსიკის მოყვარულნი და სისტემატურად სწავლობენ ამ ეზოში შოპენის მელოდიებს.

შოპენის განუზომელ სიყვარულზე მეტყველებს შოპენის გულის დაკრძალვა ვარშავის დიდ წმინდა კასტიოლში (ეკლესიაში). გული აქ შენახულია გრანდიოზულ ბროლის ვაზაში, ხოლო შოპენის სხეული დაკრძალულია პარიზში.

ვარშავის ეროვნულ მუზეუმში ვნახეთ ზიგმუნდ ვალიშევსკის სურათები. როგორც ცნობილია ვალიშევსკი ცხოვრობდა თბილისში და თავისი სურათების პირველი გამოფენა აქ მოაწყო.

ჩვენს სასტუმროში მოეწყო შეხვედრა პოლონელ ახალგაზრდობასთან. ეს შეხვედრა არ ატარებდა განსაკუთრებულ ოფიციალურ ხასიათს. ეს იყო მეგობრული საუბრის საღამო, აზრთა გაზიარება პროფესიის მიხედვით. კამათი რეალიზმზე, აბსტრაქციონიზმზე. აბსტრაქციონიზმი, როგორც იტყვიან, „მოდაა პოლონეთში", თუმცა ბევრმა თვითონაც არ იცის, რა მოსწონს და რა იტაცებს ასეთ ქმნილებაში.

კინოხელოვნებას პოლონეთში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მაგრამ თანამედროვე პოლონური კინო უკვე მაღალ პროფესიონალურ საფეხურზე დგას. ვნახეთ საინტერესო პოლონური ფილმი „შკაფთან ერთად", რომელიც დაჯილდოვებულია ექსპერიმენტალურ კინოფესტივალზე, და თანამედროვე კინოკომედია „ევას უნდა ძილი". განსაკუთრებით მოგვეწონა მოკლემეტრაჟიანი სურათი „ზაფხულის უკანასკნელი დღე".

ვარშავა უძველესი თეატრალური ქალაქია. დღეს ვარშავაში 16 პროფესიონალური თეატრია. დრამატიულ თეატრთა შორის წამყვანია ე. წ. პოლონეთის თეატრი, რომლის დამაარსებლად ითვლება ლეონ შილერი, გორდინ კრეგის მოწაფე, პოლონური თეატრის დიდი რეფორმატორი. ამ თეატრში ვნახე კასონის „ხეები ზეზეულად კვდებიან", რომელშიც ბებიას როლს კარგად ასრულებს პოლონური თეატრის ცნობილი მსახიობი მეჩისლავა ცვაკლინსკაია. თუმცა ჩვენი დიდებული ვერიკო ანჯაფარიძის „ბებია" მთელი თავით მაღლა დგას ცვაკლინსკაიას „ბებიაზე". თეატრალური ხელოვნების განვითარების დიდ დიაპაზონზე მეტყველებს ვარშავის კლასიკური თეატრი, კამერული თეატრი. მათ შემოქმედებით ვეზს მათივე სახელწოდება განსაზღვრავს. პოპულარულია პოლონეთში ატენეუმის თეატრი. ახალგაზრდობის საყვარელ თეატრს წარმოადგენს სტუდენტთა თოჯინების სატირული თანამედროვე თეატრი „ბიმ-ბომ", ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი რეპერტუარი აქვს სტუდენტთა თეატრს „სტოდავას". სამწუხაროდ, ამ თეატრში სეზონი დახურული იყო და საშუალება არ მოგვეცა ერთი-ორი სპექტაკლი მაინც გვენახა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო პოლონეთის ექსპერიმენტული თეატრი. იგი წარმოადგენს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე სხვადასხვა შეხედულებათა საპოლემიკო ასპარეზს. აქ მრავალ საინტერესო საკამათო აზრს შეხვდები. კერძოდ, თანამედროვე მაყურებლის მიერ სპექტაკლის აღქმის შესახებ. საყურადღებოა, რომ დღევანდელ მაყურებელს მოსაწყენად მიაჩნია 4—5 მოქმედებიანი პიესები მისი გაჭიანურებული ანტრაქტებით და ვეებერთელა დეკორაციების ცვლით. საჭიროა მეტი დინამიურობა, პირობითობა, გამომგონებლობა, სიახლე თეატრში. მსოფლიოს დიდი თეატრების შემოქმედებითი პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ეს აზრი არაა საფუძველს მოკლებული.

(დასასრული იქნება)

**თამაზ ქვარიანი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.



**სურათებზე:** 1. (ზემოთ) — შოპენის ობელისკი შოპენის სახლ-მუზეუმის ეზოში, ჟელეზნოვა ვოლაში. 2. (ქვემოთ) — ძველი ვარშავის ერთ-ერთი უბანი.

# თანაკურსელები ერთმანეთს ხვდებიან

**120** კაცმა დაამთავრა **1949** წელს ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. დაამთავრეს და ცხოვრების ფართო გზაზე გავიდნენ — ზოგმა ასპირანტურაში განაგრძო სწავლა, ზოგი მასწავლებლად წავიდა სკოლაში, ზოგმა მუზეუმში დაიწყო მუშაობა...

დაემშვიდობნენ უნივერსიტეტს და აქ მიღებული ცოდნით ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ჩადგნენ. მოგონებად, ტკბილ, ერუანტელისმომგვრელ მოგონებად ექცათ სტუდენტობის წლები, უნივერსიტეტში გატარებული დაუვიწყარი დღეები,— ჭეშმარიტად დაუვიწყარი და დიდებული. სადაც კი უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეშიაც და რა თანამდებობაზეც, ყოველთვის და ყველგან ნათლის მარადიულ სვეტად ედგათ თვალწინ ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი — ცოდნის ტაძარი და მათი მეორე დედა, მათი ალმა მატერი.

უნივერსიტეტი შთააგონებდა მათ სამამულო საქმეთა კეთებას, თავდადებასა და შრომას, ბრძოლას ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის. გულები კი აქეთკენ მოუწევდათ, ყოველთვის ენატრებოდათ გამზრდელი ტაძრის ხელახალი ნახვა, საყვარელ პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა და საუბარი, თანაკურსელების ნახვა და სტუდენტობის გაფრენილ დღეთა გახსენება; ენატრებოდათ და ნატვრაც აისრულეს— შეიკრიბნენ ათი წლის წინათ უნივერსიტეტდამთავრებულები; ისინი ახლა სტუმრებად ჩამოვიდნენ საქართველოს ქალაქებიდან, რაიონებიდან, ისინი მოვიდნენ დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან. სტუმრებს გულღია მასპინძლებად დაუხვდნენ ჩვენს უნივერსიტეტში მომუშავე მაშინდელი კურსდამთავრებულები...

ეს დაუვიწყარი შეხვედრა მოეწყო 24 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საქტო დარბაზში. სიყვარულით, სიხარულით და უტკბილესი განცდებით აღსავსე შეხვედრა იყო.

პირველი — პროფესორი დავით გვრიტიშვილი გამოვიდა, — ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. ეს არ იყო წინასწარ მომზადებული გამოსვლა, ლაპარაკობდა ამაღელვებლად, შთაგონებით, გასახარლად.

10 წელი გავიდა, რაც მათ სტუდენტობა დაამთავრეს, უნივერსიტეტს დაემშვიდობნენ და სამშობლოსათვის სასარგებლო და საჭირო ადამიანებად იქცნენ. ახლა 15 იმათგანი მეცნიერი მუშაკია, ბევრი მასწავლებლად მუშაობს, ბევრს სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა უკავია და ყველამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პროფესორი დავით გვრიტიშვილი გულმხურვალედ მიესალმა შეკრებილთ, სიყვარულით და სიამაყით ილაპარაკა მათს წარმატებებზე და ისევ და ისევ ახალ-ახალი წარმატებები უსურვა.

პროფესორი სერგი ჟღენტი, უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, შეხვედრის მონაწილეებს რექტორატის სახელით მიესალმა. გულთბილი, გულითადი იყო მისი მისალმება. უნივერსიტეტს ყოველთვის ახსოვს თავისი აღზრდილები, ფიქრობს მათზე, თვალყურს ადევნებს მათს საქმიანობას, ამაყობს მათი მიღწევებით.

ტრიბუნაზეა პროფესორი იასე ცინცაძე. შეკრებილები გულისყურით ისმენენ თავიანთი საყვარელი მასწავლებლის გამოსვლას; ღვაწლმოსილი პროფესორი თავის აღზრდილებს მიესალმება ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით.

ძვირფას სტუმრებს ამაღელვებელი სიტყვებით მიმართეს ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა რ. სვანიძემ და პირველკურსელმა ა. სიხარულიძემ.

ჯერი „იუბილარებზე" მიდგა. კურსდამთავრებულთა სახელით შთამაგონებელი სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ყორღანაშვილმა და ჩვენი უნივერსიტეტის დოცენტმა ნოდარ ლომოურმა. მათ გაიხსენეს სტუდენტობის წლები, სიყვარულით მოიგონეს უნივერსიტეტში გატარებული დღეები, პროფესორ-მასწავლებელთა ფასდაუდებელი ამაგი და მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ესოდენ დიდი ყურადღების, მზრუნველობისა და სიყვარულისათვის.

მერე დიდხანს ისაუბრეს ერთმანეთთან და აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებთან, გადაიღეს სამახსოვრო სურათები, დაემშვიდობნენ ურთიერთს, უნივერსიტეტს და დაიშალნენ. დაიშალნენ ამ მართლაც დაუვიწყარი და ლამაზი შეხვედრის შთაბეჭდილებებით აღსავსენი და ყველანი ერთი გადაწყვეტილებით დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეებს — აქციონ ასეთი შეხვედრა ტრადიციად!

**გ. ნანობაშვილი**



**სურათზე:** შეხვედრის მონაწილენი უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის ძეგლთან.

## უტექსტოდ



ნახ. რ. გაბრიაძისა.

## უცხოური იუმორი

### საუკეთესო დრო

მასწავლებელი ბავშვებს წელიწადის დროებზე ესაუბრებოდა.

—აბა ვინ მეტყვის, რა დროსაა ყველაზე უკეთესი ხილის მოკრეფა?—იკითხა მასწავლებელმა.

—როცა ძაღლი დაბმულია, — უპასუხა პატარა ჯიმმა.

### გაკვეთილზე

— ჯენ, რა არის აბსტრაქტული სახელი? — ჰკითხა მასწავლებელმა პატარა გოგოს.

— არ ვიცი, მისს.

— როგორ, შენ ეს არ იცი? კარგი, აგიხსნი, ეს არის ისეთი საგანი, რომელზეც შეიძლება იფიქრო, რაც შეიძლება დაინახო, მაგრამ ვერ შეეხო მას. ახლა შენ, მითხარი მაგალითი.

— გავარვარებული შამფური,—სწრაფად უპასუხა გოგონამ.

### ექიმის რჩევა

მოხუცი კაცი რჩევისათვის ერთ ცნობილ ექიმთან მივიდა. ექიმმა მოუსმინა პაციენტს, დაფიქრდა და უთხრა:

— თქვენ არ უნდა ჭამოთ ხორცი, შეწყვიტეთ პაპიროსის წევა და ვისკის სმა.

მოხუცმა არაფერი თქვა, წყნარად შეხედა ექიმს და კარისაკენ წავიდა.

— ჩემი გასამრჯელო?! — მიაძახა ექიმმა.

— გასამრჯელო? — გაიკვირვა პაციენტმა. — კი მაგრამ რისთვის გადაგიხადოთ გასამრჯელო? მე არ ვღებულობ თქვენს რჩევას.

ინგლისურიდან თარგმნა **მარინე მაისურაძემ**

# III ქალთა საუნივერსიტეტო სპარტაკიადა

ამ ექვსი წლის წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საუნივერსიტეტო ქალთა სპარტაკიადა. მას მოჰყვა მეორეც, მაგრამ შემდეგში ასეთი ღონისძიების ჩატარება რატომღაც აღარ გაგრძელებულა. შეიძლება ესეც იყოს ერთი მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტის სპორტსმენი ქალები მაინცდამაინც კარგი წარმატებით ვეღარ გამოდიოდნენ საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

როგორც იქნა ნავსი გატყდა და, აი, ამჟამად უკვე მიმდინარეობს მესამე საუნივერსიტეტო ქალთა სპარტაკიადა, რომელიც 13 ოქტომბერს დაიწყო და 29 ნოემბრამდე გაგრძელდება.

სპარტაკიადის პროგრამაში შედის სპორტის 13 სახე, რომლებშიაც თავიანთი ნაკრები გუნდები გამოჰყავთ უნივერსიტეტის ცალკეულ ფაკულტეტებს. რიგ სახეებში შეჯიბრება უკვე დამთავრდა, ზოგში ამჟამად მიმდინარეობს, ზოგშიც მომავალში ჩატარდება.

პირველად შეჯიბრებები კალათბურთში გაიმართა. თავიანთ ქვეჯგუფებში (სულ ორი ქვეჯგუფი) გამარჯვებულები გამოვიდნენ ფილოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტების კალათბურთელ ქალთა გუნდები, რომლებმაც ყველა მოწინააღმდეგეს სძლიეს. სწორედ ამ გუნდების შეხვედრას უნდა გამოევლინებინა სპარტაკიადის ჩემპიონი და ამიტომ, გასაგებია, მაყურებელთა დაინტერესება ამ თამაშით. შეხვედრა თავიდანვე მძაფრად დაიწყო. აშკარა გახდა ფილოლოგების ტექნიკური უპირატესობა, რამაც განაპირობა თამაშის შედეგი: ფილოლოგებმა ანგარიშით 49:19 დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და უნივერსიტეტის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. მეორე ადგილზე იურისტები გამოვიდნენ, მესამეზე—გეოგრაფ-გეოლოგები, მეოთხეზე — ისტორიკოსები, მეხუთეზე — ფიზიკოსები.

ნაკლები ინტერესი როდი გამოუწვევია შეჯიბრებას მაგიდის ჩოგბურთში. აქ თავიანთ ქვეჯგუფში გაიმარჯვეს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის და ფიზიკის ფაკულტეტების გუნდებმა. საბოლოოდ, მათი შეხვედრის დღეს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდში ერთი მონაწილის გამოუცხადებლობამ ის განაპირობა, რომ მათ დამარცხება მიესაჯათ და, ამრიგად, I ადგილი დაისაკუთრა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდმა. მეორე ადგილი წილად ხვდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდს, მესამე — აღმოსავლეთმცოდნეებს, IV—ქიმიკოსებს, V — ფილოლოგებს.

ველორბოლაში შეჯიბრებაზე მხოლოდ შვიდი ფაკულტეტი იღებდა მონაწილეობას. თვითეულ მათგანს უფლება ჰქონდა გამოეყვანათ მონაწილენი განუსაზღვრელი რაოდენობით, იმ პირობით, რომ გუნდურ ჩათვლაში შევიდოდა მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგი.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები — პირველთანრიგოსნები ნ. კლიმენკო და ლ. მაილოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბიოლოგიის, მესამეზე—აღმოსავლეთმცოდნეობის, მეოთხეზე — ფიზიკისა და მეხუთეზე — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების გუნდები.

პირად პირველობაზე ყველაზე კარგი შედეგი უჩვენა ნ. კლიმენკომ. მეორე ადგილზეა ლ. მაილოვა.

სროლაში შეჯიბრების დებულების თანახმად ყოველ ფაკულტეტს გამოჰყავდა 5-5 მონაწილე, რომელთაგან თვითეული გუნდის ჩათვლაში შედიოდა ოთხი საუკეთესო შედეგი. შეჯიბრება ტარდებოდა მცირეყალიბიანი შაშხანით წოლელა მდგომარეობიდან 50 მ მანძილზე, თვითეულ მონაწილეზე 3 საცდელი და 10 ჩასათვლელი გასროლით. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი (ხაბეიშვილი, შუკაკიძე, ქემოკლიძე, ხავთასი, ჩუხლება), რომელმაც 400 შესაძლებლიდან 324 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდი, მესამეზე არიან ბიოლოგები, მეოთხეზე—გეოგრაფ-გეოლოგები; მეხუთეზე — აღმოსავლეთმცოდნეები.

პირად ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა ქიმიის ფაკულტეტის გუნდის წევრი მეორეკურსელი გულნარა ნოღაიდელი, რომელმაც 100-დან 90 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა ფიზიკის ფაკულტეტის მესამეკურსელი სტუდენტი მზია ხაბეიშვილი (88 ქულა).

ყველაზე მეტმა (300-მდე) სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გეზრბენში, სადაც თვითეული მონაწილე გუნდის საბოლოო შედეგი განისაზღვრებოდა ორი მაჩვენებლით: 1. მასობრივობით (მასობრივობაში ითვლებოდა ყველა ის მონაწილე, რომლის დროც 500 მეტრ დისტანციაზე არ გადააჭარბებდა 2 წუთსა და 15 წამს) და 2. ხუთი საუკეთესო შედეგით.

ამ ორი მაჩვენებლის მიხედვით გეზრბენში პირველი ადგილი დაიკავა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდმა. მეორე ადგილზეა ბიოლოგიის ფაკულტეტის გუნდი, მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ ქიმიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების გუნდები, მეხუთე ადგილზე არიან მათემატიკოსები.

გეზრბენში 500 მეტრზე პირადი პირველი ადგილი მოიპოვა ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა მადლენა პაპიძემ, რომლის შედეგიცაა 1.42,8. მეორე ადგილი წილად ხვდა იმავე ფაკულტეტის მეორეკურსელს პ. ზუევას (1.47,2), მესამე — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეორეკურსელს მ. მაკალათიას (1.48,0).

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებაში, როგორიცაა სპარტაკიადა, წელს წინა წლებთან შედარებით კარგად გამოდის სტუდენტთა კონტინგენტით მცირერიცხოვანი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

სპარტაკიადა გრძელდება.

**ა. ფხაკაძე**



26 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ქალთა III საუნივერსიტეტო სპარტაკიადა.

**სურათზე:** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ამხ. კ. ზაუტაშვილი მიესალმება სპარტაკიადის მონაწილეებს.

ფოტო **ა. გემჯიანისა.**

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2 000. უე 03800.